ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

შპს „ავტოგზალენტეხი 99“

2020 წელი

ზოგადი ინფორმაცია

შპს „ავტოგზალენტეხი 99“ დარეგისტრირდა ლენტეხის სასამართლოს მიერ 2000 წლის 10 აპრილს (რეგისტრაციის ნომერი 41/4-3), იმავე პერიოდში გაიარა საგადასახადო რეგისტრაცია და მიენიჭა საიდენტიფიკაციო კოდი - 234065089; კომპანია არის დღგ-ს გადამხდელი. 2001 წლის 3 აპრილს განხორციელდა პირის რეორგანიზაცია და მისგან გამოყოფის შედეგად დარეგისტრირდა ახალი სუბიექტი შპს „ლენტეხის საგზაო 2000“ (ს/კ 234065178). ორგანიცაზიას ყავს 6 მესაკუთრე, ხოლო კომპანიის მმართველობას ახორციელებს დირექტორი - ამირან ზურაბიანი.

კომპანიის ძირითადი მიზანია მოგების მიღება ნებისმიერი საქმიანობის გზით, რომელიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, საზოგადოებისა და დამფუძნებლების ინტერესებს. მის ძირითად სამეწარმეო საქმიანობას წარმოადგენს: ხიდებისა და გვირაბების პროექტირება, მშენებლობა, რეაბილიტაცია, საავტომობილო გზების სარეაბილიტაციო და მოვლა-შენახვის სამუშაოები, აგრეთვე თავის საკუთრებაში არსებული მანქანა-მექანიზმების გაქირავება.

კომპანიის იურიდიული მისამართია: თბილისი, ნაძალადევის რაიონის, თექმა XI მ/რ; II კვ.კორპ.16 ბ, ბინა 33.

მომზადების საფუძვლები

ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის ხარისხობრივი მახასიათებლები

ფინანსურ ანგარიშგებაში ინფორმაცია წარმოდგენილია ისე, რომ იგი გასაგებია იმ მომხმარებლებისთვის, რომლებსაც გააჩნიათ ბიზნესის, ეკონომიკური საქმიანობისა და ბუღალტრული აღრიცხვის შესაბამისი ცოდნა და ინფორმაციის გულდასმით შესწავლის სურვილი. ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია შეესაბამება მომხმარებელთა ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო მოთხოვნილებებს. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ყველა ინფორმაცია არსებითია. არსებითობა დამოკიდებულია

გამოტოვებული ან არასწორად წარმოდგენილი ინფორმაციის, ან შეცდომის სიდიდესა და ხასიათზე, რისი განხილვაც უნდა ხდებოდეს შესაბამისი კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით. ამასთან, მიუღებელია, საწარმომ მსს ფასს-ის მოთხოვნებიდან არარსებითი გადახვევები გააკეთოს, ან ამგვარი გადახვევები შეუსწორებელი დატოვოს იმ მიზნით, რომ მიღწეულ იქნეს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, მისი საქმიანობის ფინანსური შედეგების, ან ფულადი სახსრების მოძრაობის წინასწარ გამიზნული სასურველი წარდგენა. ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია არის საიმედო. ინფორმაცია საიმედოა მაშინ, თუ იგი არ შეიცავს არსებით შეცდომას, არ არის ტენდენციური და სამართლიანად წარმოაჩენს იმას, რის წარმოსაჩენადაც არის გამიზნული, ან რასაც უნდა წარმოაჩენდეს, გონივრული მოლოდინის ფარგლებში.

ფინანსურ ანგარიშგებაში ოპერაციები და სხვა მოვლენები ასახულია და წარდგენილია მათი შინაარსის საფუძველზე და არა მხოლოდ მათი სამართლებრივი ფორმის შესაბამისად. ანგარიშგებაში ასახული ყველა სიდიდე ასახულია პროფესიული წინდახედულობის გამოჩენით და სრულყოფილად ასახავს კომპანიის ყველა სამეურნეო ოპერაციას. დაინტერესებულ მომხმარებელს შეუძლია საწარმოს 2018, 2019 და 2020 წლების ფინანსური ანგარიშგებების შედარება, ინფორმაცია ხელმისაწვდომია გადაწყვეტილებების მისაღებად შესაფერის ვადებში. ინფორმაციის შესაბამისობასა და საიმედოობას შორის დაცულია ოპტიმალური თანაფარდობა.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის მენეჯმენტისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებული კომპანიის უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგის თვითღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, ასევე წარმოების და დამუშავების ხარჯს, წარმოების თვითღირებულებას და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად.

ფინანსური აქტივები

კომპანია ფინანსურ აქტივებს ყოფს ქვემოთ მოცემულ კატეგორიებად, შეძენილი აქტივის დანიშნულებიდან გამომდინარე. კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა თითოეული კატეგორიისთვის შემდეგია:

მოთხოვნები. ასეთი ტიპის ფინანსური აქტივები, როგორც წესი, წარმოიშობა მომხმარებელთათვის საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევისას.

მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით.

გაუფასურების რეზერვის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება **(მაგალითად, კონტრაგენტთან დაკავშირებული** მნიშვნელოვანი სირთულეები, გადახდების **დაგვიანება და ა.შ.), რომ კომპანია** ვერ შეძლებს ყველა მოთხოვნის ამოღებას **კონტრაგენტებისგან. ასეთი** რეზერვის თანხა არის სხვაობა გაუფასურებულ მოთხოვნებთან **დაკავშირებული** მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე და საბალანსო ღირებულებებს **შორის. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნების** ამოღება შეუძლებელია, აქტივის მთლიანი **ღირებულება უნდა შემცირდეს** შესაბამისი **რეზერვ**ით.

საქონლის მიწოდებიდან და მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალი

შემოსავალი *რეალიზაციად* **აღიარდება,** როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული **ოპერაციიდან კომპანია მიიღებს წინასწარ** შეთანხმებულ ეკონომიკურ სარგებელს და **შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.** როდესაც კომპანიას შეუძლია საიმედოდ შეაფასოს **გაწეული მომსახურების შედეგები, მასთან** დაკავშირებული შემოსავლის აღიარება ხდება **საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს,** გაწეული მომსახურების შესრულების სტადიის მიხედვით, **რომელსაც აქვს** შესაბამისი აღიარების პროცესი გავლილი.

თუ ამონაგები უკვე აღიარებულია და შემდეგ საეჭვო გახდება გადასახდელი თანხის ამოღება, **ამოსაღები** თანხა აღიარდება ხარჯის სახით და არა როგორც უკვე ასახული ამონაგების თანხის **კორექტირება.**

ვინაიდან კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოდგენს ისეთი ტიპის სამშენებლო სამუშაოების **მიწოდება, რომელიც** დამოკიდებულია დამკვეთსა და შემსრულებელს შორის **ხელშეკრულებების ფარგლებში** არსებულ ურთიერთობებზე, ხდება პერიოდულად შესრულებული სამუშაოების შესაბამისად მიღება-ჩაბარების აქტის (შესრულებული სამუშაოების ფორმა #2-ს) გაფორმება.

შემოსავალი აღირიცხება დარიცხვის მეთოდით.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი აღიარდება, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება

მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯი აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია, რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე და/ან შესაბამისი აღიარების პროცესის გავლის შედეგად.

ხარჯები სრული შემოსავალი ანგარიშგებაში აღიარდება დაუყონებლივ, თუ მათგან მოსალოდნელი აღარ არის მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოტანა.

ხელფასების, ბონუსების და დანამატების აღრიცხვა

ხელფასების, ბონუსების და დანამატების დარიცხვა ხდება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც თანამშრომლებმა გაუწიეს მომსახურება კომპანიას.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის თარიღის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშნველობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალება, რომელიც აკმაყოფილებს ბასს 16 „ძირითადი საშუალებები"-ს აღიარების კრიტერიუმებს, ფასდება თვითღირებულებით.

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი ღირებულება ფასდება მათი შესყიდვის ფაქტიურ ხარჯებზე დაყრდნობით, რომელიც მოიცავს მათი შესყიდვის ფასს, შესყიდვის დაუბრუნებად

გადასახადებს და ნებისმიერ პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯს, რომელიც უკავშირდება აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანას და დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად განთავსებას.

ძირითად საშუალებებზე გაწეული შეძენის შემდგომი დანახარჯები, რომლებიც ზრდიან ძირითადი საშუალების ექსპლუატაციის ვადას ან მისგან მისაღებ ეკონომიკურ სარგებელს კაპიტალიზირდება. ყველა სხვა ხარჯი კი აისახება მიმდინარე პერიოდის მოგება–ზარალის ანგარიშგებაში,

ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული შედეგი აღიარდება მოგება–ზარალის ანგარიშგებაში მათი წარმოშობისთანავე.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი შესაძლო სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, სისტემატურ საფუძველზე, წრფივი მეთოდით.

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალური აქტივები წარმოდგენილია ლიცენზიების სახით. იგი ბალანსში აღირიცხება თვითღირებულების და აკუმულირებული ამორტიზაციის სხვაობის თანხით.

არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, სისტემატურ საფუძველზე, წრფივი მეთოდით.

ფული და ფულის ეквივალენტები

ფული და ფულადი ეквივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო ვალდებულებები

კრედიტორული დავალიანება ფორმირებულია, როგორც მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის გადასახდელი თანხების ღირებულება და მიღებული ავანსები.

ვალდებულებები, რომელთა გადახდის ვადა ერთ წელზე მეტია, კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები.

საკუთარი კაპიტალის აღრიცხვა

საკუთარი კაპიტალი 2020 წლის ბოლოსათვის შეადგენს 202664 ლარს.

ხარჯებისა და შემოსავლების აღრიცხვა საგადასახადო მიზნებისათვის

საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი მოგების გადასახადით დასაბეგრი განაწილებული მოგება, გაწეული ხარჯები ან სხვა გადახდები/განაცემები, რომლებიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის, უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა, ასევე სსკ-ით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები აღირიცხება გამიჯნულად ამ მიზნისათვის გახსნილ სუბანგარიშებზე.

მოგება-ზარალი:

წმინდა მოგება წაწილდება და გამოიყენება:

1. დივიდენდების გასაცემად.

2. საწარმოს რეინვესტირებისათვის.

3. სხვა დანიშნულებით, პარტნიორთა გადაწყვეტილების საფუძველზე.

მოგების განაწილება და დაბეგვრა ხდება საქართველოს საგადასახდო კოდექსის 98-ე მუხლის **საფუძველზე.**

მოგების გადასახადი:

მოგების გადასახადი იანგარიშება **დაბეგვრის** ახალი მოდელის, კერძოდ, ე.წ. ესტონური **მოდელის შესაბამისად.**

დირექტორი ა. ზურაბიანი ----------

Amiran Zurabiani 27001000579

Digitally signed by Amiran Zurabiani
Date: 2022.10.25 11:31:26

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2020	31/12/2019	31/12/2018
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	88610	471	21311
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	528142	532905	764520
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	160000	6800	6800
მარაგები	6637	14890	12309
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	6637	14890	12309
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	272943	204022
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	57301	72360
ძირითადი საშუალებები	777454	672564	721081
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	1560843	1557874	1802403
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	878115	770112	161857
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	65064	127699	133177
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	100000
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	250000	0	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	165000	5000	200000
სულ ვალდებულებები	1358179	902811	595034

საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	68633	462633	457619
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	134031	192430	749750
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	202664	655063	1207369
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1560843	1557874	1802403
სულ მოკლევადიანი აქტივები	783389	828009	1008962
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	1358179	902811	595034

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2020	31/12/2019
ნეტო ამონაგები	3231748	3757751
საქონლის გაყიდვიდან	204236	51135
მომსახურების გაწევიდან	3027512	3706616
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-1976313	-253787
საწყისი მარაგები	0	12308
მარაგების შესყიდვა	0	256369
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	1255435	3503964
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-430148	-340131
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-200221	-161784
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	-16904	-15974
იჯარის ხარჯი	0	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-683790	-2951540
სულ საოპერაციო ხარჯები	-1331063	-3469429
საოპერაციო მოგება	-75628	34535
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	17515	-288938
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-58113	-254403
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-58113	-254403

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):

ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გ	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-58113	-254403
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	655063	1207369
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზ	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-394286	-302917
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	5014
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	202664	655063

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2020	31/12/2019
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-100753	264268
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-78012	-169134
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	266904	-115974
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	88139	-20840
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	471	21311
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	88610	471